

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2018 წლის 20 აპრილი

სხდომის ოქმი #7

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი-23, სტუდენტი-5, სულ-28წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება;  
*/დეკანის მოადგილე, მ. ჩაველიშვილი/*
2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;  
*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*
3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგნობრივ და პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ;  
*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*
4. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2017 წლის ანგარიშის დამტკიცების შესახებ;  
*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*
5. 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დოქტორანტურაში ვაკანტური ადგილების დამტკიცების შესახებ;  
*/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ.ლობჯანიძე/*
6. მიმდინარე საკითხები

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ე. ხარაიშვილმა ითხოვა დღის წესრიგში შემდეგი საკითხის დამატება: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ.

დეკანის მოადგილემ მ. ჩავლეიშვილმა ითხოვა დღის წესრიგში შემდეგი საკითხის დამატება: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს ახალი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. გიორგი ლაღანიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

#### გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:                    მომხრე – 28  
წინააღმდეგი – 0

**დაადგინეს:** დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის #7სხდომის დღის წესრიგი აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. გ. ლაღანიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ასოც. პროფ. ნ. ხარაძეს სურს გამოსვლა და საბჭოსთვის ინფორმაციის მიწოდება.

ასოც. პროფ. ნ. ხარაძემ აღნიშნა, რომ მას აქვს გარკვეული ინფორმაცია და გადაწყვიტა ყველას თანდასწრებით ამის გაჟღერება. მან აღნიშნა, რომ დეკანის არჩევნებამდე მისი სურვილი იყო შექმნილიყო კონკურენტული გარემო და იყო მოსაზრება, რომ უკეთესი იქნებოდა სხვა, ალტერნატიული კანდიდატების არსებობა. მან აღნიშნა, რომ არსებობდა მოსაზრება დეკანის თანამდებობაზე ერთ-ერთი კანდიდატი ყოფილიყო პროფ. ე. მექვაბიშვილი. ქ-მა ნ. ხარაძემ აღნიშნა, რომ ის მას მხარს უჭერდა.

ფაკულტეტზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ შედგა რექტორის შეხვედრა გ. ლაღანიძესთან და ე. მექვაბიშვილთან და იმ შეხვედრაზე მოხდა შეთანხმება, რომ თუ ე. მექვაბიშვილი დეკანის არჩევნებში არ დააყენებდა თავის კანდიდატურას, მას დანიშნავდნენ ფაკულტეტის ჟურნალის რედაქტორად. ამჟამად მოქმედ რედაქტორს რ. გოგოხიას კი შეუთვალეს, რომ მან უნდა დაწეროს განცხადება და უარი თქვას ამ თანამდებობაზე. ქ-მა ნ. ხარაძემ აღნიშნა, რომ თუ ეს მართალია, ამგვარი დამოკიდებულება ფაკულტეტისთვის არ არის კარგი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ, გ. ლაღანიძემ. მან აღნიშნა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია ფაკულტეტის ჟურნალის რეიტინგის ამაღლება და ამის შესახებ მან კონცეფციაშიც გააკეთა ჩანაწერი. საჭიროა ფაკულტეტის ჟურნალს ჰქონდეს **ERIH PLUS** ინდექსი და ამისთვის საჭიროა ფინანსური რესურსები. სწორედ ამ მოსაზრების გამო გადაწყდა, რომ ჟურნალის მთავარი რედაქტორის პოზიციაზე დანიშნულიყო ადამიანი, რომელიც უზრუნველყოფდა ჟურნალის რეიტინგის ამაღლებას და ეს არის პროფ. ე. მექვაბიშვილი. რაც შეეხება პროფ. რ. გოგოხიას, მისი გამოცდილება გამოყენებული იქნება რედაქტორის მოადგილის პოსტზე არსებული ანაზღაურების შენარჩუნებით.

დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ, გ. ლაღანიძემ აღნიშნა, რომ საკითხი, რომელიც ინტერპრეტირებული იქნა ქ-ი ნ. ხარაძის მიერ, გარკვეულია და კითხვის ნიშნები არ არსებობს.

ასოც. პროფ. ნ. ხარაძემ აღნიშნა, რომ მას აქვს ჩანაწერები, რომელიც გაკეთებულია ორი თვით ადრე, რაც ადასტურებს იმას, რომ გარიგება ნამდვილად შედგა.

**ასოც. პროფ. ნ. ხარაძის გამოსვლასთან დაკავშირებით აზრი გამოთქვს:**

**აკად. ა. სილაგაძემ.** მან ისაუბრა ცუდ ტენდენციაზე როგორც ფაკულტეტზე ასევე ზოგადად ქვეყანაში, კერძოდ სატელეფონო ჩანაწერებზე, როგორც შანტაჟის იარაღზე. მან აღნიშნა, რომ ასეთი ჩანაწერების გაკეთება არის კანონის დარღვევა, ჩანაწერის შანტაჟის მიზნით გამოყენება დასჯადია არამარტო მისთვის, ვინც ჩანაწერი გაკეთა, არამედ მისთვის, ვინც მოისმინა. ამ შემთხვევაში პიროვნებამ უნდა გააეკთოს განაცხადი ამ უკანონობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ნ. ხარაძის მიერ გაკეთებული განცხადება არ არის სიმართლე და ასეთი მოლაპარაკებები არ ყოფილა.

აკად. ა. სილაგაძემ საბჭოს წევრებს მოუწოდა, რომ არ მოხდეს უკანონობის წახალისება და აღნიშნა, რომ არსებობს სხვადასხვა სამსახურები, რომელთა მხრიდან ჩამწერიც და მომსმენიც, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მოექცეს დაკვირვების ქვეშ, რადგან ეს ძალიან მძიმე შედეგებს გამოიწვევს ფაკულტეტზე.

აკად. ა. სილაგაძემ მიმართა დეკანს თხოვნით: როგორც ფაკულტეტის ხელმძღვანელმა, ფაკულტეტზე ჩანაწერების და მისი გავრცელების მცდელობის და წახალისების შემთხვევაში მოხდეს სათანადო სამსახურების წარმომადგენლთა საქმის კურსში ჩაყენება და დადგეს ამ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი. ფაკულტეტზე არ უნდა არსებობდეს შანტაჟის იარაღი.

ჟურნალის რედაქტორის საკითხთან დაკავშირებით აკად. ა. სილაგაძემ აღნიშნა, რომ ეს საკითხი განხილული იქნა პროფესორთა საბჭოზე. ფაკულტეტს უზარმაზარი დახმარება გაუწია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ამ საკითხთან დაკავშირებით, ამიტომ ახალი ძალა უადრესად სასარგებლო იქნება. ფაკულტეტის ჟურნალს სჭირდება მაღალი რეიტინგი და ამ გადაწყვეტილების მომხრე ალბათ იქნება ყველა.

**პროფ. ე. მექვაბიშვილმა** აღნიშნა, რომ ოქტომბრის თვეში აკადემიური საბჭოს არჩევნების წინ განაცხადის შეტანამდე მას ჰქონდა შეხვედრა რექტორთან, სადაც აღნიშნა, რომ თუ ის არ იქნებოდა აკადემიური საბჭოს წევრი, სასურველი იქნებოდა ყოფილიყო დეკანობის კანდიდატი. პროფ. ე. მექვაბიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ იგი შეხვდა ყოფილ დეკანს, პროფ. თ. ბერიძეს და მას გააცნო ამ შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრება. მისი გადაწყვეტილება იყო ის, რომ თუ მოქმედი დეკანი შეიტანდა განცხადებას, ის მას კონკურენციას არ გაუწევდა.

ამის შემდეგ მან მაღლობა გადაუხადა რექტორს და გადაწყვიტა, რომ კენჭს იყრიდა აკადემიურ საბჭოში. აკადემიური საბჭოს წევრობაზე განაცხადი შეტანილი ჰქონდა პროფ. გ. ლაღანიძესაც. მას შემდეგ, რაც მან უარი თქვა შემოთავაზებაზე, პროფ. გ. ლაღანიძემ მოხსნა კანდიდატურა.

პროფ. ე. მექვაბიშვილმა აღნიშნა, რომ მან, როგორც 13 წლიანი გამოცდილების მქონე ყოფილმა დეკანმა, კარგად იცის, რომ ეს არის დიდი პასუხისმგებლობა, რომელსაც სჭირდება დიდი ენერჯია. რექტორთან მეორე შეხვედრის შემდგომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ თსუ-ს 100 წლის იუბილეთთან დაკავშირებით ნეგატიური ინფორმაციები, რომელიც ვრცელდება სოციალური ქსელით, არის საზიანო და იმიჯს ულახავს უნივერსიტეტს.

პროფ. ე. მექვაბიშვილმა აღნიშნა, რომ დეკანის არჩევნების შემდეგ რაიმე გარიგება არ ყოფილა, იყო შემოთავაზება და საერთო მოსაზრება ჟურნალის რედაქტორობასთან დაკავშირებით. ბატონი რ. გოგობია კი გააგრძელებს მის საქმიანობას.

პროფ. ე. მექვაბიშვილმა თხოვნით მიმართა საბჭოს წევრებს, რომ ბოლო მოეღოს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს, რაც ენერჯიას, ძალიანმევას სრულიად სხვა მიმართულებით წარმართავს. უმაღლესი განათლების სფეროში მკაცრი კონკურენციის პირობებში საჭიროა საჯარო ინფორმაციაში გარკვევა, გადამოწმება, შეჯერება და ისე გაზიარება. სწორედ ამიტომ, მან მოუწოდა საბჭოს წევრებს მხარი დაუჭირონ კომისიის შექმნას, რომელიც ყველა პრობლემას თუ საკითხს შეისწავლის (მათ შორის ქ-ი ნ. ხარაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომელსაც ის გამოთქვამს სოციალურ ქსელში თუ ზეპირ გამოსვლებში). ქ-მა ნ.

ხარაძემ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა მის გამონათქვამებზე. რადგან ორი მხარე არასდროს არ არის მართალი, საჭიროა გარკვევა. მან ხარაძეს მოუწოდა დაასახელოს ერთი ადამიანი, რომელიც მისი მხრიდან ჩაერთვება ამ კომისიის მუშაობაში.

ნ. ხარაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ფაკულტეტის კომისიის შექმნას მხარს უჭერს, რადგან ეს კომისია ყველა საკითხს ადგილზე და სწრაფად გადაწყვეტს.

**მოისმინეს:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება;

*/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/*

1. ყოფილი „საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის“ 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

ქალბატონმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს დიპლომის შეცვლის თაობაზე განცხადებით მომართა საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის 2008 წლის კურსდამთავრებულ თამაზ მგელაშვილმა დიპლომში დაშვებული ხარვეზის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე თამაზ მგელაშვილის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №216/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ

ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენი სმიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივ მოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **თამაზ ხეთისოს ძე მგელაშვილი** 2003-2004 სასწავლო წელს საქართველოს სახელმწიფო კოოპერაციული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №10, 30.06.2003) უგამოცდოდ ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის ფასიანი სწავლების „ფინანსები, საბანკო, საგადასახადო და საბაჟო საქმის“ სპეციალობაზე (ბრძანება №48/ს, 05.08.2003). თამაზ მგელაშვილი 2004 წელს გადაყვანილი იქნა ეკონომიკის ფაკულტეტის „ფინანსები, საბანკო, საგადასახადო და საბაჟო საქმის“ სპეციალობის I კურსიდან II კურსზე (ბრძანება №34/ს, 09.07.2004). 2005 წელს - ეკონომიკის ფაკულტეტის „ფინანსები, საბანკო, საგადასახადო საქმის“ სპეციალობის II კურსიდან III კურსზე (ბრძანება №36/ს, 25.07.2005) და 2006 წელს - ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის „ფინანსები, საბანკო, საგადასახადო და საბაჟო საქმის“ სპეციალობის III კურსიდან IV კურსზე (ბრძანება №29/ს, 31.07.2006). 2006-2007 სასწავლო წლის საბოლოო შედეგებიდან გამომდინარე ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის IV კურსის სტუდენტს თამაზ მგელაშვილს მიეცა საგნების ჩაბარების უფლება 2007 წლის ბოლომდე (ბრძანება №14/ს, 20.07.2007).

ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთვრებულთათვის აკადემიური ხარისხის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და შესაბამისი დიპლომების გაცემის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის 2008

წლის 25 ივლისის №15/ს ბრძანებით ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის გადაწყვეტილების (ოქმი №6, 18.07.2008) საფუძველზე 2007-2008 წლის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის კურსდამთვრებულ თამაზი მგელაშვილს მიენიჭა ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფინანსისტის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი (ბრძანება №15/ს, §1, 25.07.2008).

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ მოძიებული ინფორმაციით საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის 2008 წლის კურსდამთვრებულთათვის ხარისხის მინიჭება ხდებოდა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, რის შემდეგაც გამოიცემოდა ინსტიტუტის დირექტორის ბრძანება აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ. რაც შეეხება კვალიფიკაციის მინიჭების ოქმებს, ისინი ტურიზმის სკოლაში არ იძებნება. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს ინსტიტუტის დირექტორის მიერ ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთვრებულთათვის აკადემიური ხარისხის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და შესაბამისი დიპლომების გაცემის შესახებ გამოცემული ბრძანების თარიღი, ხოლო ნომრად ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა.**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 28**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** აღდგენილად ჩაითვალოს საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის კურსდამთვრებულთათვის ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის 2007-2008 სასწავლო წლის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის

კურსდამთავრებულ თამაზი მგელაშვილისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღად განისაზღვროს 2008 წლის 25 ივლისი და ოქმის ნომრად №15/პ.

- ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და შესაბამისი დიპლომების გაცემის შესახებ ინსტიტუტის დირექტორის 2008 წლის 25 ივლისის №15/სბრძანების§1-ში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

2. ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2003 წლის კურსდამთავრებულ ბორის (შემდგომში ბორია) ფირცხელიანის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

*/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/*

ქალბატონმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს დიპლომის შეცვლის თაობაზე განცხადებით მომართა კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2003 წლის კურსდამთავრებულ ბორია ფირცხელიანმა დიპლომში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე ბორია ფირცხელიანის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №216/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული



სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტურის ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დაადგინა, რომ **ბორის ადილარის ძე ფირცხელიანი** 1998 წელს მეორე სპეციალობის მისაღებად ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ფასიანი განყოფილების დაუსწრებელი სწავლების ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობის II კურსზე (ბრძანება №4/936, §1, 20.10.1998).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2006 წლის 10 იანვრის №4/24 ბრძანებით დაუსწრებელი განყოფილების კურსდამთავრებულ ბორის ფირცხელიანს მიენიჭა **ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN#003274 (სარეგისტრაციო №01/4596) რეგისტრირებულია ბორის ფირცხელიანის სახელზე.

თსუ რექტორის 2018 წლის 11 აპრილის №358/01-04 ბრძანებით გაუქმებულად გამოცხადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2003 წლის კურსდამთავრებულ ბორის (ბორისი) ფირცხელიანის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომი (B №003274, სარეგისტრაციო №01/4596) სახელში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამო

შეტანილი იქნა ცვლილება და ბორის (ბორისი) ფირცხელიანის მიმართ უნივერსიტეტის მიერ გამოცემული (შექმნილი) ყველა არსებული ოფიციალური დოკუმენტი გამოცემულად ჩაითვალა ბორია ფირცხელიანის მიმართ და ბორია ფირცხელიანი მიჩნეული იქნა ამ დოკუმენტებით მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილედ.

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 2005 წელს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე მოქმედებდა ორი ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია ფაკულტეტის საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების სხვადასხვა სპეციალობებში საატესტაციო კომისიის სხდომის 8 ოქმი. ყველა ოქმზე მითითებულია თარიღი, მაგრამ მხოლოდ ერთ ოქმზე არ არის დაფიქსირებული ოქმის ნომერი.

**კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო (პირობითად პირველი) კომისიის** (დეკანი: ეკა სეფაშვილი; წევრები: ლ. კოჭლამაზაშვილი, მ. ტოგონიძე, ა. ლაშხია, ნ. ბენდუქიძე, მ. წულუკიძე, გ. ნადირაშვილი, ე. ბოლოკაძე, ნ. თოდუა) მიერ 2005 წლის 5 ივლისს წარმოებულია 7 ოქმი. ყველა ოქმზე დაფიქსირებული თარიღი და ნომერი.

**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო (პირობითად მეორე) კომისიის** (დეკანი: .....; წევრები: პროფ. ე. ბოლოკაძე, პროფ. ნ.. თოდუა, დოც.მ. წულუკიძე, დოც. თ. ჯაში) მიერ 2005 წლის 30 დეკემბერს წარმოებულია 1 ოქმი, რომელზეც დაფიქსირებულია თარიღი, მაგრამ არ აქვს ნომერი.

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, კომისიების მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ამასთან, მიზანშეწონილია ოქმების დანომვრა განხორციელდეს თარიღების მიხედვით და თუ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ ერთი და იმავე თარიღით ექნება რამდენიმე ოქმი წარმოებული, მაშინ მხედველობაში სხვა მონაცემებიცაა მისაღები. დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედმა კომისიამ იმსჯელა და განხორციელდა უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება.

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 28

## წინააღმდეგი – 0

**დაადგინეს:** აღდგენილად ჩაითვალოს 2005 წელს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის (ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის) ფაკულტეტის (პირობითად მეორე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის (დაუსწრებელი) სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების **ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის** სპეციალობის კურსდამთავრებულ **ბორის ფირცხელიანს ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 30 დეკემბრის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმის თარიღად განისაზღვროს **2005 წლის 30 დეკემბრი** და ოქმის ნომრად **№8/3**.

- ყოფილი „შპს საქართველოს კოოპერაციული ინსტიტუტის“ 2006 წლის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

ქალბატონმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს დიპლომის აღდგენის თაობაზე განცხადებით მომართა შპს საქართველოს კოოპერაციული ინსტიტუტის 2006 წლის კურსდამთავრებულ მაია წიკლაურმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე მაია წიკლაურის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომისდანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №216/ნბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო

აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმის წარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დაადგინა, რომ **მაია წილკაური** 2001 წლის მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით ჩაირიცხა საქართველოს სახელმწიფო კოოპერაციული ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებულ, ფასიანი სწავლების „ფინანსები, საბანკო საქმე და საგადასახადო საქმის“ სპეციალობაზე (ბრძანება №72/ს, §1, 12.08.2001). **მაია წილკაურის** პირად საქმეში იძებნება კურსიდან კურსზე გადაყვანის ბრძანებები:

- I კურსიდან II კურსზე გადაყვანის ბრძანება №70/ს, 26.10.2002;
- II კურსიდან III კურსზე გადაყვანის ბრძანება №37/ს, 08.07.2003;
- III კურსიდან IV კურსზე გადაყვანის ბრძანება №37/ს, 09.07.2004;
- IV კურსიდან V კურსზე გადაყვანის ბრძანება №36/ს, 25.07.2005.

ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის „ფინანსები, საბანკო და საგადასახადო საქმის“ სპეციალობის ერთსაფეხურიანი სწავლების (5 წლიანი) სტუდენტი **მაია წილკაური** 2006 წელს ჩაითვალა კურსდამთავრებულად და კვალიფიკაციის მისანიჭებლად დაშვებული იქნა ფაკულტეტის საბჭოზე (ბრძანება №24/ს, 22.07.2006). საქართველოს კოოპერაციული ინსტიტუტის დირექტორის 2006 წლის 28 ივლისის №27/ს ბრძანებით ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის საბჭოს 2006 წლის 27 ივლისის სხდომის (ოქმი №2) გადაწყვეტილებით მიენიჭა ფინანსები, საბანკო და საგადასახადო საქმის დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ მოძიებული ინფორმაციით საქართველოს კოოპერაციული ინსტიტუტის 2006 წლის

კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭება ხდებოდა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, რის შემდეგაც გამოიცემოდა ინსტიტუტის დირექტორის ბრძანება აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ. რაც შეეხება კვალიფიკაციის მინიჭების ოქმებს, ისინი ტურიზმის სკოლაში არ იძებნება. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს დირექტორის მიერ ინსტიტუტის ერთსაფეხურიანი (5 წლიანი) სწავლების კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ გამოცემული ბრძანების თარიღი, ხოლო ნომრად ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: აღდგენილად ჩათვალოს შპს „საქართველოს კოოპერაციული ინსტიტუტის“ დირექტორის მიერ ინსტიტუტის ერთსაფეხურიანი (5 წლიანი) სწავლების კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი დანომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ინსტიტუტის ერთსაფეხურიანი (5 წლიანი) სწავლების კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბშპს „საქართველოს კოოპერაციული ინსტიტუტის“ დირექტორის 2006 წლის 28 ივლისის №27/ს ბრძანებით 2006 წლის კურსდამთავრებულ მათა წიკლაურისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს 2006 წლის 28 ივლისი და ოქმის ნომრად №27/პ.
- ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ინსტიტუტის ერთსაფეხურიანი (5 წლიანი) სწავლების კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ შპს „საქართველოს კოოპერაციული ინსტიტუტის“ დირექტორის 2006 წლის 28 ივლისის №27/ს

ბრძანების §1-ში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

**მოისმინეს:** ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების 1987 წლის კურსდამთავრებულთათვის სპეციალობის დაზუსტება.

*/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/*

ქალბატონმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის 1987 წლის კურსდამთავრებულ თამარ ქოთუაშვილის სპეციალობის დაზუსტება.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დაადგინა, რომ **თამარ პავლეს ასული ქოთუაშვილი** 1982 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი სწავლების საქონელმცოდნეობისა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობაზე (ბრძანება №4/518, 24.08.1982).

ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1987 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით (ოქმი №12) დაუსწრებელი განყოფილების კურსდამთავრებულ თამარი პავლეს ასული ქოთუაშვილს მიენიჭა კვალიფიკაცია - უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე, სპეციალობა - „სასურსათო საქონელმცოდნეობა“, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ-ის რექტორის 1987 წლის 18 ივლისის №4/630 ბრძანებით მიენიჭა კვალიფიკაცია - უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე, სპეციალობა - „საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია“ და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

1987 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი HBN#062688 (სარეგისტრაციო №01/881) რეგისტრირებულია თამარ პავლეს ასული ქოთუაშვილის სახელზე.

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა შესაძლებლობის ფარგლებში მოიძია 1982-1987 წლებში ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე აქტიური სპეციალობები. მოძიებული დოკუმენტებიდან ნათელი გახდა, რომ, რომ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმში დაფიქსირებული ჩანაწერი „სასურსათო საქონელმცოდნეობა“ არის სპეციალობის დასახელების შემოკლებული ვარიანტი და დადგინდა, რომ რეალურად სპეციალობის დასახელება არის „საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

**დაადგინეს:** ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 1987 წლის 25 ივნისის ოქმში (№12) ჩანაწერი „სასურსათო საქონელმცოდნეობა“ არის სპეციალობის შემოკლებული ვერსია და მისი სრულყოფილი დასახელებაა - „საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია“.

**მოისმინეს:** თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2018 წლის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

I. ქალბატონ ე. ხარაიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№7589/29, 18.04.2018) აკადემიური ხარისხის მინიჭების შუამდგომლობის შესახებ, რომლის მიხედვითაც უნდა მიენიჭოთ:

1. ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

**დიპლომი ჩვეულებრივი:**

- |    |                        |             |
|----|------------------------|-------------|
| 1. | ბაბილოძე სალომე        | 60001078315 |
| 2. | ლორთქიფანიძე ეკატერინე | 01019057697 |

2. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის შემდეგი კურსდამთავრებულებს:

**დიპლომი ჩვეულებრივი:**

- |     |                   |             |
|-----|-------------------|-------------|
| 1.  | ბაბილუა სოფიკო    | 58001030084 |
| 2.  | ბაუყაძე ანა       | 61004063434 |
| 3.  | ბერუაშვილი გიორგი | 59001035209 |
| 4.  | თავაძე თამთა      | 61001086826 |
| 5.  | თურქია თამთა      | 42001040155 |
| 6.  | კიკვაძე გიორგი    | 01001070721 |
| 7.  | კობაიძე ირმა      | 35001125972 |
| 8.  | მერკვილაძე მარეხი | 18001022454 |
| 9.  | მხეიძე აკაკი      | 62001039973 |
| 10. | სილაგაძე თამარ    | 01001094717 |
